შეხვედრის ოქმი
10 აპრილი, ბათუმი
USAID დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ ბათუმში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრსა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. შეხვედრას 36 ადამიანი ესწრებოდა:

შეხვედრის ფარგლებში სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა ლევან ავალიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს ღია მმართველობის პარტნიორობის მეხუთე გამოწვევის შესაბამისი ვალდებულებებიც. ამ საკითხთან დაკავშირებით მონაწილეთა აზრი ორად გაიყო, ვინაიდან შეხვედრის დამსწრეთა გარკვეული რაოდენობა თვლის, რომ პირველი ეტაპისთვის არ არის სავალდებულო მთავრობა შეეხოს ბიზნესის კეთილსინდისიერების ამაღლების გამოწვევას, ვინაიდან მათი მოსაზრებით, ეს საფრთხილო თემაა და საფუძვლის მომზადება სჭირდება.

- ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული თემები დამსწრეთათვის საინტერესო აღმოჩნდა. შეხვედრის მონაწილეებმა ვერ გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც მათ უარი ეთქვათ ინფორმაციის მიღებაზე, თუმცა მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სურს გაეცნოს უცხოელ ინვესტორებთან დადებულ ხელშეკრულებებს, რომელთა ქართული თარგმანები არ არსებობს. დამსწრეები აღნიშნავენ, რომ მათ სურთ დაიწყოს თარგმნის პროცესი და მათ ეცნობოთ დროის რა მონაკვეთში დასრულდება დოკუმენტების ქართული ვერსიების გამზადება. შეხვედრის მონაწილეთა მოსაზრებით, საჯარო ინფორმაცია, რომელიც ერთხელ უკვე იქნა გამოთხოვილი, შესაბამისმა უწყებამ უნდა განათავსოს თავის ვებგვერდზე მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა ამ ტიპის დოკუმენტის გამოქვეყნებას დადგენილება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ.

- შეხვედრის მონაწილეებს ბევრი შენიშვნა ჰქონდათ პარლამენტის საიტთან დაკავშირებით. მათი აზრით, აღნიშნული ვებგვერდი არ არის მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული, გაუმართავია და განახლებას საჭიროებს.

- შეხვედრის მონაწილეებს იუსტიციის სახლის მომსახურებისთვის კერძო სერვისების დამატება კერძო სექტორის საქმიანობაში ჩარევად მიაჩნიათ. თუმცა, დამსწრე საზოგადოებას სურს შინაგან საქმეთა სააგენტოს მომსახურების სააგენტოს სერვისების მიღება შესაძლებელი გახდეს იუსტიციის სახლში.

- შეხვედრის მონაწილეების მოწონება დაიმსახურა საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციამ. ისინი თვლიან, რომ ცენტრებმა სრულად უნდა დაფაროს საქართველოს სოფლები ვინაიდან ეს გაუმარტივებს სოფლად მცხოვრებთ სასურველი მომსახურების მიღებას და რაც მთავარია, მათთვის ინფორმაციის მიწოდება კიდევ უფრო მარტივი გახდება.

- საჯარო სამსახურის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, შეხვედრის მონაწილეები ფიქრობენ საჭიროა დასაქმების პორტალზე - HR.GOV.GE გამოქვეყნდეს გამოცხადებული კონკურსის ყველა ეტაპის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსანტების რეზიუმეები კი ამავე ვებგვერდის მეშვეობით წინასწარ გახდეს ცნობილი. შეხვედრის მონაწილეები თვლიან, რომ შეფასების კომისიაში უნდა იყოს ერთი დამოუკიდებელი პირი და ყველა იმ პირს, რომელიც ვერ შეირჩევა გამოცხადებულ ვაკანსიაზე ეცნობოს უარის თქმის მიზეზი. დამსწრე საზოგადოება თვლის, რომ HR.GOV.GE-ზე განთავსებული აპლიკაციის ფორმა რთულია და უნდა გამარტივდეს, აქვე შეხვედრის მონაწილეები დასძენენ, რომ აპლიკაციის ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც დასაქმების მსურველს პირადობის მოწმობის ასლის ატვირთვას სთხოვს ვებგვერდზე, ამოსაღებია.

- შეხვედრის მონაწილეები თვლიან, რომ მისასალმებელია თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შემუშავება, ვინაიდან ვებგვერდი გამართულად მუშაობს და მონიტორინგის სისტემა სრულად დახვეწს ამ სფეროს. შეხვედრის მონაწილეები თვლიან, რომ მონიტორინგის შედეგების მიხედვით, აუცილებელია დაწესდეს გარკვეული სანქციები.

- შეხვედრის მონაწილეების მოწონებას იმსახურებს MY.GOV.GE. დამსწრეთა სურვილია, პორტალს არქივის გარკქვეული მომსახურებები დაემატოს.